# 12 აპრილი კოსმონავტიკის დღეა
# დიდება კოსმოსის დამპყრობ გმირებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№72 (5102)

1974 წ. 11 აპრილი, ხუთშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## 221 სმ, 17,66 მ

**ალუშტა, 9 აპრილი.** უკრაინის მძლეოსანთა საგაზაფხულო შეჯიბრებაში 18 წლის ს. სენიუკოვმა (ჩერნოვცი) ფოსბიურის ყაიდით 221 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს მსოფლიოს სტადიონებზე.

სენიუკოვმა პირველად შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი. ამავე დროს, მან საბჭოთა მხტომელთა შორის პირველმა შეასრულა ღია ცის ქვეშ სსრ კავშირის ნაკრებში ჩასარიცხი ნორმატივი. როგორც ცნობილია, ქვეყნის ნაკრები ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებს სექტემბერში იტალიის დედაქალაქში.

**ფრუნზე, 9 აპრილი.** ყირგიზეთის დედაქალაქში მძლეოსანთა ასპარეზობაში კარგად გამოვიდა ნოვოსიბირსკელი სპორტსმენი ქალი თ. მაზიარი. მან 17,66 მეტრზე ჰკრა ბირთვი.

## სსრ კავშირის ქალთა ნაკრები — ევროპის ჩემპიონი

**ნოვი-სადი, 9 აპრილი.** იუგოსლავიის ამ ქალაქში დამთავრდა ევროპის გუნდური ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა, რომელმაც ფინალურ შეხვედრაში ანგარიშით 3:1 სძლია უნგრეთის ეროვნულ გუნდს და კონტინენტის ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა. საბჭოთა გუნდში დღევანდელ მატჩში მოთამაშე ზ. რუდნოვას (მოსკოვი) და ე. ანტონიანის (ერევანი) გარდა იყვნენ ა. გედრაიტიტე (კაუნასი) და ს. ფიოდოროვა (მოსკოვი).

ვაჟთა გუნდების შეჯიბრებაში ყველას აჯობა შვეციის ნაკრებმა, რომელმაც ფინალში უნგრელები დაამარცხა — 5:3.

სსრ კავშირის ნაკრებმა მხოლოდ V ადგილი დაიკავა.

წინაა პირადი შეჯიბრება.

**მაგიდის ჩოგბურთი**

# კეთილი გზა ახალ საფეხბურთო სეზონს!



XXXVI

## კენჭისყრა შედგა

ლენინგრადში, ფ. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სასახლეში, გუშინწინ გაიხსნა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ბ. სპასკისა და ა. კარპოვის ნახევარფინალური მატჩი. საზეიმო ცერემონიალზე მონაწილეებს მიესალმნენ ფიდე-ს პრეზიდენტი, დოქტორი მ. ეივე და მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი ვ. ბერეზოვი.

მატჩის რეგლამენტი ითვალისწინებს ბრძოლას ოთხ მოგებულ პარტიამდე. თუ ვერც ერთი მეტოქე ვერ მიაღწევს მიზანს ოც პარტიაში, მაშინ ფინალისტი ის იქნება, ვისაც მეტი მოგებული პარტია აღმოაჩნდება, ყაიმის შემთხვევაში გამარჯვებულს კენჭისყრა დაასახელებს.

პარტიები შედგება ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და პარასკეობით. ყოველი გადადებული პარტიის დასამთავრებლად მეტოქენი მეორე დღეს შეხვდებიან ერთმანეთს. მატჩის მთავარ მსაჯად დანიშნულია საერთაშორისო არბიტრი, საერთაშორისო ოსტატი ვ. მიკენასი (ვილნიუსი).

მატჩისადმი ინტერესი დიდია. ბილეთები პირველ ათ პარტიაზე რამდენიმე საათში გაიყიდა.

ლენინგრადიდან იტყობინებიან, რომ ა. კარპოვის ავადმყოფობის გამო პირველი პარტია, რომელიც 10 აპრილს უნდა შემდგარიყო, გადატანილია. იგი 12 აპრილს შედგება.

● **ლენინგრადი, 8 აპრილი.** შეიარაღებული ძალების ტანმოვარჯიშეთა ჩემპიონატში ო. კორბუტმა კვლავ გააცვიფრა სპეციალისტები თავისი ახალი ბჯენითი ხტომით — ორმაგი ხრახნი შეასრულა. ეს ურთულესი ნახტომია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით ტანმოვარჯიშემ დახტომის სიზუსტეს ვერ მიაღწია. ასეა თუ ისე, მრავალჭიდში კორბუტს 15 წლის როსტოველმა ს. გროზდოვამ გაუსწრო, რომელმაც დაიკავა კიდეც I ადგილი — 75,425 ქულა. II ადგილზეა კორბუტი — 75,0 ქულა. ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა მინსკელი ვ. შჩუკინი — 110,35 ქულა. II ადგილზე გასული მოსკოველი ვ. ბოიკო გამარჯვებულს 0,05 ქულით ჩამორჩა. გუნდურ ჩათვლაში ბელორუსიის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს.

● **ხარკოვი, 8 აპრილი.** აქ დამთავრდა „ა“ კლასის პირველი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების პირველი ტური. შესანიშნავად იასპარეზა მინსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული კლუბის კოლექტივმა, რომელმაც 9 ქულა დააგროვა 10-დან. II ადგილზეა ადგილობრივი „ლოკომოტივი“ — 7 ქულა. 6 ქულა მოაგროვა მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის გუნდმა, ხოლო 5 — მოსკოვის ოლქის „დინამომ“. 3 ქულა აქვთ თბილისელ სტუდენტებს, ხოლო ფრუნზეს „ისიკ-ყულის“ წყალბურთელებს — არც ერთი.

XXIe JEUX OLYMPIQUES ECHIQUEENS

21

NICE 1974

## ფიშერს ცალკე თამაში სურს

XXI საჭადრაკო ოლიმპიადაში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვა 76 ქვეყანამ, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცით, იქნება თუ არა რ. ფიშერი ამერიკელ მოჭადრაკეთა შორის.

საზღვარგარეთის სააგენტოები იტყობინებიან, რომ მსოფლიო ჩემპიონმა ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის რამდენიმე მოთხოვნა წამოაყენა. ერთი მოთხოვნა ასეთია: ფიშერმა უნდა ითამაშოს არა გამოფენათა სასახლეში, სადაც შეჯიბრება ტარდება, არამედ ცალკე შენობაში.

ოლიმპიადის ორგანიზატორებს საზრუნავი მოემატათ. ახლა ბჭობენ, რა უპასუხონ აშშ-ს ჭადრაკის ფედერაციას, რომელმაც მათ ფიშერის „დიდი მოთხოვნა“ შეატყობინა.

როგორიც უნდა იყოს პასუხი, ერთი რამ ცხადია: ფიშერი ფიდე-ს დევიზს — „ჩვენ ერთი ოჯახი ვართ“ — თავისად არ მიიჩნევს.

ვ. ბაბკინი.
(საკდესის კორ.).

## რიგაში, საერთაშორისო ტურნირზე

თბილისის „განთიადის“ ფიგურისტებმა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადაში დამაკმაყოფილებელი გამოსვლის შემდეგ ჯერ უფაში მოზარდთა საკავშირო თასის გათამაშებაში იასპარეზეს, მერე კი იეევსკში პროფკავშირთა საკავშირო ჩემპიონატში სცადეს ძალა.

უფაში გოგონათა შორის მ. კოშორიძემ „სკოლაში“ გამარჯვების შემდეგ საერთო III ადგილი დაიკავა, ვაჟთა შორის კი მ. სიხარულიძე VI ადგილზე გავიდა.

იჟევსკში გუნდური ტურნირი ორ ჯგუფად გაიმართა. „განთიადი“ მეორე ჯგუფის გუნდებს შორის გამოდიოდა და 32 ქულით პირველობაც დაისაკუთრა. თბილისელებმა „ტრუდის“ მეორე გუნდს 10 ქულით აჯობეს. III ადგილი წილად ხვდა „დაუგავას“ — 21 ქულა.

პირად პირველობაში მოასპარეზე ქალთა შეჯიბრებაში ლია გაბელაიამ VI ადგილი დაიკავა და სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ახლა საქართველოში ფიგურულ ციგურაობაში მწვრთნელ ი. ჯაფარიძის აღზრდილი ორი სპორტის ოსტატი გვყავს — გაბელაია და მარინე ცერცვაძე.

თბილისელი სპორტის ოსტატები ცერცვაძე და გაბელაია რიგაში მიიწვიეს, სადაც „ქარვის ციგურების“ პრიზზე დიდ საერთაშორისო ტურნირში გამოვლენ.

# კეთილი გზა ახალ ს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპეციალისტების, პრესისა და, საერთოდ, სპორტული საზოგადოებრიობის აზრით თბილისის „დინამო“ შედგება მაღალი კლასის ფეხბურთელებისგან და უკეთ უნდა თამაშობდეს. უნდა თამაშობდეს, მაგრამ ვერ თამაშობს. არ გამოუდის! არსებითად, იგი საკუთარ თავს ძარცვავს. ამ ამბის არსი შეიძლება ასეთ ფორმულაში მოვაქციოთ: „გვინდა — შეგვიძლია — არ გამოდის“.

„შეგვიძლია“, ჩემი აზრით, რაიმე განსაკუთრებულ შენიშვნათა გარეშე არსებობს. აი, „გვინდა“ და „არ გამოდის“ კი ხშირად ექცევა კრიტიკის ქარცეცხლში.

არის გულშემატკივართა ერთი ნაწილი, რომელიც წარუმატებლობათა სათავეს იმაში ხედავს, რომ ჩვენი ყველა ფეხბურთელი მუდამ არ იბრძვის საჭირო მონდომებით და ხალისით. იშვიათი არაა, როცა მათს თამაშში გრძნობ უსულგულობის ყინულს. ასეთები ამბობენ: ყველა ჩვენმა ფეხბურთელმა ძალების სრული მობილიზებით რომ ითამაშოს, სიხარული მეტი გვექნებოდაო.

არა, ასეთ მტკიცებებს ვერ დავეთანხმებით.

ძნელად, რომ რომელიმე მოთამაშემ არ ისურვოს სიხარული, დიდება და წახალისება გამარჯვებისას და ამჯობინოს წაგება, შერცხვენა და დამცირება.

არადამაკმაყოფილებელი თამაშის მიზეზები უნდა ვეძიოთ სხვაგან (ვილაპარაკებ ძირითად მიზეზებზე). წავიდა ის დრო, როცა გამარჯვება შეიძლებოდა მხოლოდ ბურთის ფლობის ტექნიკის ან ფიზიკური მომზადების ხარჯზე. მაღალი კლასის გუნდებში ახლა ამგვარი რამ არ შეიძლება მოხდეს, ვინაიდან მოთამაშეთა ტექნიკური და ფიზიკური მომზადების დონე შედარებით გათანაბრდა. საგანგებო მნიშვნელობა მიენიჭა უნარს, რომ რაც შეიძლება რაციონალურად გამოიყენო ეს პოტენციური შესაძლებლობები. ახლა უმთავრესად იდეებისა და შემოქმედებითი აზროვნების ბრძოლა წარმოებს მინდორზე.

ლონდონის „ტოტენჰემი“ არ აღემატებოდა ჩვენს გუნდს ოსტატობის დონით, — ასეთია სპეციალისტთა აზრი, — მაგრამ შეძლო უკეთ, უფრო ეფექტიანად გამოეყენებინა თავის შესაძლებლობათა კომპლექსი და გაიმარჯვა კიდეც.

უფრო მეტიც. მეორე მატჩში ჩვენს ფეხბურთელებს ძალა და უნარი საკმარისად ჰქონდათ იმისთვის, რომ აეცილებინათ თავიდან თამაშის მოულოდნელი მსვლელობა, მაგრამ არ ეყოთ შემოქმედებითი ინიციატივა, რომელიც აუცილებლად საჭიროა. ეტყობა, ჯერ კიდევ ვერ გავნთავისუფლდით ყოველივე უცხოსგან, რაც გადმოვიღეთ ოდესღაც და რისიც ახლაც ბრმად გვჯერა.

ტაქტიკაში არსებული ფორმალიზმი მოთამაშეებში იმდენად შემოქმედებითს ერთეულებს არ ხედავდა, რამდენადაც მზამზარეულ გადაწყვეტილებათა შემსრულებლებს. ბუნებრივია, ფეხბურთელთა აზროვნება უფრო იმით კი არ იყო დაკავებული, რომ უკეთესად ეთამაშათ გარკვეულ სიტუაციაში, არამედ იმით, რომ შეესრულებინათ მითითება და პასუხისმგებლობა არ ჰქონოდათ სხვა ამბების გამო.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ დადებითს მხარეებს, რომლებიც შევამჩნიეთ დინამოელებს „ტოტენჰემთან“ პირველი თამაშის შინაარსში, ხალისმა, საკუთარი „მეს“ ინიციატივის გამოვლენის შესაძლებლობამ, ბრძოლის ახალი ფორმების ძიებამ, და შეიქმნა კიდეც თამაშის ახალი სისტემა. გუნდმა უარი თქვა მიმბაძველობაზე და ყველაფერი დააფუძნა თავის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, მოთამაშეთა შესაძლებლობებზე, აამაღლა მათი მარგი მოქმედების კოეფიციენტი. ამის შედეგად ის მიიღეს, რომ ბრაზილიელ ფეხბურთელებს ველარავინ უწოდებდა სხვათა იდეების შემსრულებლებს. ისინი თვით გახდნენ შემქმნელები, ნოვატორები. ეს კი სულ სხვა რამაა. ფეხბურთი სპორტის შემოქმედებითი

## ...და მაშინ ვიხილავთ დიდ ფეხბურთს!

მაგრამ ეს ძვრები ველარ ვიხილეთ მეორე მატჩში. გამოვიდა, რომ „ტოტენჰემთან“ მატჩი მძიმე ანგარიშსწორებაა ძველი ცოდვებისთვის.

გაშალო და გაასწორო მოთამაშეთა მოთელილი ფრთები — არც ისე ადვილი საქმეა. აქ არ შეიძლება შემოიფარგლო ელემენტარული ხერხებით „ცივი რემონტის“ არსენალიდან. საჭიროა რადიკალური გარდაქმნები. უნდა იპოვო შენი თამაში, რომელშიც შეიქმნება პირობები, რომ მაქსიმალურად გამოვლინდეს ფეხბურთელთა შესაძლებლობანი, ნიჭი, იმპროვიზაციის უნარი.

ამ სერიოზული პრობლემის გადასაჭრელად შეიძლება სხვადასხვა გზა გამოინახოს. სასარგებლო ნიმუშად შეიძლება გამოვიყენოთ ბრაზილიის ნაკრების გარდაქმნის გამოცდილება. მისი მდგომარეობა გარდაქმნამდე ჩვენი გუნდისას ჰგავდა და ასევე იზღუდებოდა ფორმულით „გვინდა — შეგვიძლია — არ გამოდის“. ბრაზილიელთა მაშინდელი მწვრთნელი ვ. ფეოლა მიხვდა, რომ ფეხბურთის ტექნიკა თვითმიზანი კი არაა, არამედ საშუალება და იარაღი, რომელიც ემსახურება ტაქტიკურ ამოცანებს. თუ ტაქტიკა ღარიბი და ელემენტარულია თავისი ჩანაფიქრით, მოთამაშეთა უმაღლესი ტექნიკაც კი ვერ იქნება პროდუქციული. სინამდვილეში ასეც იყო. ბრაზილიელებს დიდ არტისტებს უფრო უწოდებდნენ, ვიდრე ფეხბურთელებს, და ამიტომაც საფეხბურთო ტახტის სერიოზულ პრეტენდენტებადაც არ მიაჩნდათ.

მოდით, გავიხსენოთ, რა მოიმოქმედა ბრაზილიის ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა ფეოლამ. მან გუნდთან ერთად თამამად დაიწყო ძველი, გამჯდარი ტრადიციების მსხვრევა. მოთამაშეები გაიტაცა შემოქმედებითმა სახეობაა. სწორედ ამიტომაა, რომ აქ ოსტატობის მწვერვალებს შთაგონების უმაღლეს მომენტებში აღწევენ და სძლევენ ყველაზე ძნელ ზღუდეებს.

თუ არაა შთაგონება, ფეხბურთი ფეხბურთი არ არის.

ერთხელ ჩარლი ჩაპლინს ჰკითხეს, რომელი დღე იყო მისთვის ყველაზე სამწუხარო.

— ის, — უპასუხა ჩაპლინმა, — როცა ინკოგნიტოდ მივიღე მონაწილეობა ჩარლი ჩაპლინის მიბაძვის კონკურსში და... მესამე ადგილი დავიკავე.

ჩაპლინის თაყვანისმცემლები გაკვირვებული იყვნენ — როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთი რამ? მაგრამ გასაკვირი აქ არაფერია. როცა ჩაპლინი შემომქმედად გამოდიოდა, ტოლი არ ჰყავდა, მაგრამ როცა კი არ თამაშობდა, არამედ მხოლოდ ასახიერებდა თამაშს, ბაძავდა თუნდაც საკუთარ თავს, ეს სხვებზე უარესად გამოსდიოდა.

როცა ამ ამბავს ვიხსენებ, ყოველთვის ვნანობ, რომ მიხეილ მესხის ნამდვილი თამაში მე ვერა და ვერ ვიხილე. მას ავალებდნენ ეთამაშა ისე, როგორც სხვები თამაშობენ, ხარკი გადაეხადა მოდისთვის. და განა მარტო მას ექცეოდნენ ასე?

მწვრთნელისა და მოთამაშეთა ურთიერთობა ძალიან რთული რამაა და თამაშის ხარისხიც ბევრადაა მასზე დამოკიდებული. სულ პატარა შეუთანხმებლობასაც ერთი კოვზი კუპრის მსგავსად შეუძლია გააფუჭოს კასრი თაფლი.

გუნდის ხელმძღვანელობის პრაქტიკაში მწვრთნელები მეტწილად მიმართავენ მკაცრი ერთმმართველობის მეთოდს. ბრძანებს და მოითხოვს შესრულებას, მაგრამ ბოლო ხანებში შესამჩნევი გახდა უფრო რბილი ურთიერთდამოკიდებულებანი, მე ვიტყოდი, დემოკრატიული მიმართებით. როგორ იდგა ეს საკითხი ბრაზილიის ნაკრებში? დავუგდოთ ყური, რა თქვა ფეოლაზე ამ გუნდის ვეტერანმა ორლანდომ.

„მე ქედს ვიხრი მის წინაშე არა როგორც უბრალოდ, მწვრთნელის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, როგორც ადამიანის წინაშე. უფრო ადამიანური მწვრთნელი არ შემხვედრია. ჩვენ ზოგჯერ ვერც ვარჩევდით, რა გვიკარნახა ფეოლამ (მიაქციეთ ყურადღება: „გვიკარნახა“ და არა „გვიბრძანა“) და რა გადაწყვეტილება მიიღო თვითონ მოთამაშემ“.

ეს უკვე უბრალო გუნდი არაა. ეს კოლექტივია უმაღლესი გაგებით. მწვრთნელის ასეთი ურთიერთდამოკიდებულება მოთამაშეებთან მე მესახება, როგორც მწვრთნელისა და მოთამაშეთა იდეალი, მათი შთაგონების წყარო და წარმატების საწინდარი.

ძალიან სერიოზული გარდაქმნები ვიხილეთ საბჭოთა ფეხბურთში კიევის „დინამოს“ და ერევნის „არარატის“ მაგალითებზე, რამაც ეს გუნდები შესანიშნავ გამარჯვებამდე მიიყვანა.

მათი გზით მიემართება, როგორც მე მგონია, მოსკოვის „დინამოც“, მერე კი შეიძლება სხვებმაც მიმართონ მათს მაგალითს. საბჭოთა ფეხბურთის განვითარება მკვეთრად ამაღლდება, გამწვავდება ბრძოლა.

ამ პირობებში კეთილგონიერებას რომ არ მივყვეთ და დავრჩეთ ჩამორჩენილთა რიგებში, უაზრობა იქნებოდა.

თუ ვიმსჯელებთ „ტოტენჰემთან“ პირველი მატჩის მაგალითით, ძვრა უკეთესისკენ არის და შეგვიძლია ჩვენს გუნდს ვუსურვოთ კეთილი გზა, წარმატებისკენ. იპოვო შენი თამაში — აი, რით უნდა ვხელმძღვანელობდეთ ყველა წამოწყებაში. ეს ნიშნავს მთელი შემადგენლობით შექმნა ისეთი ანსამბლი, ისეთი თამაში, სადაც მთელი სისრულით გაიხსნება მოთამაშეთა ტალანტი და შესაძლებლობანი, გამოვლინდება მათი ძლიერი მხარეები, იმპროვიზაციის უნარი. დაუშვებელია შეცდომის გამეორება, ინდივიდუალობის დათრგუნვა, სხვისი თამაშის კულტივირება. იგი, როგორც უცხო სხეული, ცუდად გვეთვისება. საჭიროა ნაკლები რეგლამენტაცია, მეტი დამოუკიდებლობა. ყველაფერ ამასთან ერთად უნდა აღვადგინოთ ის მაღალი ტემპი, რომელიც მუდამ ჩვენი შემწე იყო ბრძოლაში (ეს კი უნდა მოხდეს სხვისი თამაშიდან განთავისუფლების შედეგად). უნდა გამოვიმუშაოთ თამაშის ის საკუთარი სტილი, რომელსაც ქართული ერქმევა. მაშინ ვიხილავთ დიდ ფეხბურთს!

ა. გალპერინი,
ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის სასწავლო-მეთოდური საბჭოს წევრი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.



სურათზე: თბილისის დინამოელები სიხარულით აღნიშნავენ გატანილ გოლს.
მ. ზარგარიანის ფოტო.

### სტატისტიკოსის ბლოკნოტში

## ციფრები, ფაქტები...

● თბილისის „დინამო“ ერთადერთი გუნდია უმაღლეს ლიგაში, რომელიც სსრ კავშირის ბოლო 5 ჩემპიონატის მანძილზე არც ერთხელ არ დარჩენილა პირველი ხუთეულის დაბლა: 1969 წელი — III ადგილი, 1970 — IV, 1971 — III, 1972 — III, 1973 — V.

● 1962 წელს თბილისის „დინამომ“ III საპრიზო ადგილი დაიკავა და ზუსტად 10 წლის შემდეგ იგივე შედეგი გაიმეორა.

● 1963 წელს თბილისის „დინამომ“ V ადგილი დაიკავა და მხოლოდ ბურთების სხვაობით დაუთმო IV ადგილი როსტოვის არმიელებს. 10 წლის შემდეგ, შარშან, თბილისელებმა კვლავ V ადგილი დაიკავეს და ისევ ბურთების სხვაობით ჩამორჩნენ, ამჯერად — მოსკოვის „სპარტაკს“.

● 1964 წელს თბილისის „დინამო“ სსრ კავშირის ჩემპიონი იყო. არ დაგავიწყდეთ, რომ მას შემდეგ ზუსტად 10 წელი გავიდა...

ჯ. ქორიძე.
რუსთავი.

## ვიყოთ...
## გულშ...

მხარდამჭერა საჭი...

სტადიონზე გარკვეული ორმხრ... უნდა არსებობდეს. მაყურებელი... გისგან მოითხოვს მაღალ ოსტატობა... მაგრამ გულშემატკივრებს ისიც უნდ... ცარიელი ტრიბუნების წინ თამაში ა... და ფეხბურთელებიც უნდა გრძნობ... მაყურებელთა მხრივ. უამისოდ „შინა... ფაქტორი იკარგება.

ბევრმა ფეხბურთის მოყვარულმა გა... საკუთარ გუნდს ხელშეწყობა და გა... ტრიბუნებიდან. ის გამხნევება, რომე... ბურთელებს არ აკლებენ გულშემატკ... ყველა სტადიონზე (რასაკვირველია, ... გვაქვს თავაშვებული ღრიანცელი, სტ... ტოების აუტანელი კაკაფონია).

ზოგიერთ ქვეყანაში მაყურებლებს ა... ხალისებელი შეძახილები და ჩვე... შევარჩიოთ ერთი ისეთი, რომელიც ... შემატკივრის „საკუთრება“ იქნება? ... ვანებს სპორტსმენებს და განაწყობს ... თვის! გაიხსენეთ, როგორ ეხმარებოდ... ფეხბურთელებს მექსიკაში მათი ... ორგანიზებულად ხელმძღვანელობდა ... რალი ვილსონ სიმიანული. განა მე... ტა სამსახური გაუწია მაყურებელთა ... ჩენილი კომიკოსის ვალდესის მეთაურ... კოვის სტადიონებზე არ ჭომაგობე... მაყურებლები! რა არის ამაში ცუდი!

ჩვენ კი აქტიურობას ტრიბუნაზე ... ვიჩენთ, როცა დინამოელები ცუდად ... გუნდი კარგად გამოიყურება, ჩუმად ... გზე და მარცხდება — ისმის უკმაყო... ტველი შეძახილები, ეს კი მოწინააღმ...

## საგანაცხადო სიები

### „დინამო“ (თბილისი)

უფროსი მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ჩოხელი, მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ს. კუტივაძე.

მეკარეები: დ. გოგია (1948 წელს დაბადებული), მ. გაგოშიძე (1953), რ. ბერიძე (1948).

მცველები: რ. ძოძუაშვილი (1945), ვ. ჰელიძე (1945), მ. ხურცილავა (1943), ფ. კანთელაძე (1949), შ. ხინჩაგაშვილი (1951), ზ. ებრალიძე (1944), ა. ჯინჯარაძე (1953), დ. მუჯირი (1956).

ნახევარმცველები: კ. ასათიანი (1947), მ. მაჩაიძე (194.), გ. გავაშელი (1947), ბ. მჭედლიშვილი (1949), გ. მაჩაიძე (1950), თ. ჩხეიძე (1955).

თავდამსხმელები: ვ. გუცაევი (1952), დ. ყიფიანი (1951), ზ. წერეთელი (1953), ფ. რეხვიაშვილი (1950), გ. ნოდია (1948), ლ. ნოდია (1949), ა. ჩივაძე (1955).

### „ტორპედო“ (ქუთაისი)

გუნდის უფროსი — სპორტის ოსტატი ჰ. ხორდია, უფროსი მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. ნორაკიძე, მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ა. წვერავა.

მეკარეები: თ. გრძელიშვილი (1946), ნ. კვერნაძე (1956), ო. გაბელია (1953).

მცველები: ო. ბერულავა (1958), მ. ქუთათელაძე (1952), რ. ჰოხონელიძე (1948), გ. აბზიანიძე (1948), თ. კოსტავა (1956).

ნახევარმცველები: ზ. ოქროპირაშვილი (1949), ბ. ფარულავა (1954), ვ. შელია (1953), ი. ჩახუნაშვილი (1951), დ. ქვირია (1952).

თავდამსხმელები: ჯ. ხერხაძე (1945), გ. გაბიჩვაძე (1955), რ. ფეხტვენიძე (1952), რ. ჰოლაძე (1·18), ნ. ფიფია (1952), ზ. გაგუა (1954).

# ...ფეხბურთო სეზონს!

ბიბლიოთეკა

## ...ნამდვილი ...მატკივრები!

ქართველ მეომრებს ფიცხელ ომში სიმღერით აღაფრთოვანებდა მაჩაბელი, ახლანდელ ფიცხელ სპორტულ ბრძოლებში კი უკეთეს შემთხვევაში ნეიტრალური მაყურებლის პოზიციაზე ვდგავართ.

დიდი ფეხბურთი კარს მოგვადგა. ვჰქოთ ჩვენი ბიჭების გამამხნევებელი სიტყვები!

ქ. ბაგუნია,
საზოგადოება „ცოდნის" თბილისის ორგანიზაციის ცენტრალური ლექტორიუმის დირექტორი.

### შველა გაჭირვებაში უნდა!

ვეთანხმები მათ აზრს, ვისაც მიაჩნია, რომ ფეხბურთელებს მხარდაჭერა და გამხნევება სჭირდებათ ტრიბუნებიდან. ვაიგულშემატკივრებად მიგვაჩნია ისინი, ვინც ხელშეწყობის მაგივრად ირონიულ სიცილს, შეურაცხმყოფელ სიტყვებს და სტვენას არ აკლებს მოთამაშეებს.

წარმოიდგინეთ, 20-21 წლის ახალგაზრდა გამოდის ასპარეზზე, რაღაცა შეეშლება და იმის ნაცვლად, რომ საკუთარი ძალების რწმენა განვუმტკიცოთ, გავამხნევოთ, იმედი მივცეთ, ვაბნევთ და სულიერ ტრავმას ვაყენებთ მას.

ყოველი ნამდვილი, ჭეშმარიტი პატრიოტის, ჩვენი გუნდის კეთილისმსურველის მოვალეობად მიგვაჩნია შენიშვნა მისცეს გვერდით მჯდომს, თუ იგი ფეხბურთელს შეცდომის დროს უსტვენს და უკივინებს იმის ნაცვლად, რომ შეეხმაროს.

ვის მხარეზე ხართ, გულშემატკივრებო, პატიოსანი სპორტული ბრძოლის დროს, ვისი გამარჯვება გსურთ? დაუჭირეთ ჩვენებს მხარი და არახელსაყრელ ატმოსფეროს ნუ უქმნით ფეხბურთელებს!

გ. გვაზავა, თ. მახარაძე, ნ. ხეფიაშვილი, თ. კლარჯეიშვილი, გ. თიგიშვილი, ქ. ქვარაცხელია.

## გივი ნოდიას შანსები

თბილისის „დინამოს" ცენტრალური თავდამსხმელი გ. ნოდია გამორჩეხილი საბჭოთა ფეხბურთელის გ. ფედოტოვის სახელობის „ასიანთა კლუბის" წევრობის რეალური პრეტენდენტია. მას 91 ბურთი აქვს გატანილი და, ვარაუდით, წლეულსვე უნდა მოხვდეს საპატიო კლუბში.

ვარაუდითო ვამბობთ იმიტომ, რომ ბოლო 4 წელია თბილისის დინამოელთა შორის ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი სწორედ გ. ნოდიაა. 1970 წლის საკავშირო ჩემპიონატში მან გაიტანა 14 გოლი, 1971 წელს — 7, 1972 წელს — 8, 1973 წელს — 11. ეჭვი არ გვეპარება, რომ გ. ნოდია 100 გოლს შეასრულებს.

მაგრამ ჩვენი გუნდის ახლანდელ ცენტრალურ თავდამსხმელს კიდევ ერთი შანსი აქვს: ცნობილია, რომ თბილისის „დინამოს" მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელია სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ღოღობერიძე, რომელსაც გ. ფედოტოვის კლუბში 128 გოლი ერიცხება. თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა, გ. ნოდიამ, რომელიც 1948 წელსაა დაბადებული, კიდევ რამდენიმე სეზონი უნდა ითამაშოს გუნდის შემადგენლობაში და შესაძლოა გააუმჯობესოს ჩვენი სახელოვანი ვეტერანის რეკორდი.

რ. კოპზირიძე,
თბილისის საშენ მასალათა კომბინატის იურისკონსულტი.



ს უ რ ა თ ზ ე: ქუთაისის ტორპედოელები უტევენ. თეთრ მაისურში — გ. გაბიჩვაძე.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.

## ჩვენი გუნდები საკავშირო ასპარეზზე

### „დინამო" (თბილისი)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| წ. გაზაფხული, შე. | 6 | 5 | 1 | 0 | 19:4 | 17 | I |
| წ. შემოდგომა. | 7 | 3 | 3 | 1 | 14:9 | 16 | III |
| | 16 | 7 | 4 | 5 | 30:24 | 34 | IV |
| | 25 | 11 | 9 | 5 | 53:38 | 31 | VI |
| | 26 | 14 | 5 | 7 | 60:41 | 33 | II |
| | 24 | 15 | 4 | 5 | 56:30 | 34 | II |
| წ. დაუმთ. ჩემპ. | 10 | 6 | 3 | 1 | 22:13 | 15 | I-II |
| | 22 | 9 | 8 | 5 | 37:22 | 26 | IV |
| | 22 | 15 | 3 | 4 | 47:26 | 33 | III |
| | 24 | 14 | 5 | 5 | 57:30 | 33 | III |
| | 26 | 13 | 7 | 6 | 54:35 | 33 | IV |
| | 34 | 15 | 10 | 9 | 62:45 | 40 | VI |
| | 36 | 20 | 7 | 9 | 78:50 | 47 | III |
| | 28 | 15 | 6 | 7 | 59:36 | 36 | II |
| | 13 | 5 | 6 | 2 | 19:12 | 16 | IV |
| | 20 | 11 | 5 | 4 | 39:24 | 27 | II |
| | 24 | 9 | 5 | 10 | 30:47 | 23 | VIII |
| | 22 | 6 | 4 | 12 | 25:36 | 16 | IX |
| | 22 | 8 | 4 | 10 | 42:46 | 20 | VIII |
| | 22 | 8 | 5 | 9 | 27:33 | 21 | VII |
| | 22 | 8 | 3 | 11 | 34:55 | 19 | IX |
| | 22 | 12 | 3 | 7 | 48:33 | 27 | III |
| | 10 | 5 | 2 | 3 | 18:12 | 12 | VIII |
| | 30 | 13 | 7 | 10 | 50:30 | 33 | VII |
| | 22 | 10 | 8 | 4 | 29:20 | 28 | III |
| | 38 | 17 | 13 | 8 | 56:42 | 47 | V |
| | 32 | 18 | 10 | 4 | 48:30 | 46 | I |
| | 32 | 12 | 12 | 8 | 37:30 | 36 | VI |
| | 36 | 13 | 14 | 9 | 47:34 | 40 | VII |
| | 36 | 16 | 13 | 7 | 53:33 | 45 | III |
| | 38 | 16 | 13 | 9 | 53:29 | 45 | VII |
| | 26 | 12 | 11 | 3 | 34:17 | 35 | III |
| | 32 | 14 | 8 | 10 | 43:30 | 36 | IV |
| | 30 | 14 | 8 | 8 | 33:33 | 36 | III |
| | 30 | 12 | 11 | 7 | 41:34 | 35 | III |
| | 30 | 18 | 5-3. | 12 | 42:33 | 31 | V |

### „ტორპედო" (ქუთაისი)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 18 | 7 | 5 | 6 | 21:16 | 19 | XV |
| | 38 | 6 | 21 | 11 | 22:37 | 33 | XII |
| | 32 | 10 | 7 | 15 | 20:37 | 27 | XIII |
| | 32 | 8 | 3 | 21 | 29:69 | 19 | XVI |
| | 36 | 9 | 10 | 17 | 44:59 | 28 | XV |
| | 36 | 8 | 15 | 13 | 37:50 | 31 | XIII |
| | 38 | 9 | 10 | 19 | 27:48 | 28 | XIX |
| | 26 | 4 | 6 | 16 | 20:50 | 14 | XIV |
| I ლიგა | 32 | 6 | 11 | 15 | 24:42 | 23 | XVI |
| | 42 | 12 | 15 | 15 | 47:53 | 39 | XI |
| | 38 | 19 | 6 | 13 | 49:32 | 44 | V |
| | 38 | 18 | 2-3. | 20 | 40:46 | 34 | IX |

...ნიშვნა: ზოგჯერ საკავშირო ჩემპიონატი ეტაპობრივად ტარდებოდა. ...ლში მოყვანილია ფინალური ეტაპების შედეგები.

## პრიზების რიცხვმა იმატა

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა „სამართლიანი თამაშის პრიზი" უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის. ჟურნალ „ჩელოვეკ ი ზაკონის" სარედაქციო კოლეგიის მიერ დაწესებული ეს პრიზი გადაეცემა კოლექტივს, რომლის მოთამაშეებიც ყველაზე ნაკლებ გაფრთხილებას მიიღებენ ქვეყნის ჩემპიონატის მატჩებში.

პირველი ლიგის ფეხბურთელებისთვის დაწესებულია კიდევ ოთხი ახალი პრიზი: „ყველაზე შედეგიანი გუნდისთვის" (გაზეთ „გუდოკის" ჯილდო), „საუკეთესო ბომბარდირისთვის" („ვეჩერნი მინსკი"), გუნდისთვის, რომელიც ორი შემადგენლობით (ძირითადი და სათადარიგო) საუკეთესო შედეგებს მოიპოვებს („ბაკინსკი რაბოჩი"), „პირველ ადგილზე გასული გუნდისთვის" (სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია).

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

### პირველი ჯგუფი

● „მეტალურგი" (რუსთავი) — დიმიტროვის სახელობის ქარხანა (თბილისი) 3:0. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).

მიუხედავად იმისა, რომ შესვენებამდე ანგარიში არ გახსნილა, მეტალურგებს თავიდანვე საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ. 55-ე წუთზე სტუმრების კარში პირველი ბურთი აღმოჩნდა მიქაშავიძის დარტყმის შემდეგ. ამას მოჰყვა კაჭახიძისა და ჯიქიას ორი გოლი.

უნდა აღვნიშნოთ რუსთაველ ფეხბურთელთა ყოვლად უმსგავსო, ხულიგნური საქციელი. მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილება მიიღეს ზ. მაისურაძემ და ი. ალადაშვილმა, ხოლო თ. მიქაშავიძე მეტოქის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს.

● „სალხინო" (გეგეჭკორი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

მატჩი საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ მაყურებელს ცუდი შთაბეჭდილება დარჩა ზოგიერთი ფეხბურთელის უტაქტო საქციელის გამო. გეგეჭკორელმა ზ. ცანავამ გაფრთხილება მიიღო უხეში თამაშისთვის, ხოლო მისმა თანაკლუბელმა მ. გაგუამ — მეკარეზე სახიფათო თავდასხმისთვის. გაფრთხილება მიეცა ზესტაფონელ თ. სხილაძესაც.

● ასკ (თბილისი) — „ივერია" (ხაშური) 4:1. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

თავი ისახელა არმიელმა ლომიძემ, რომელმაც სამი ბურთი გაიტანა მეტოქის კარში. მეოთხე გოლი ეკუთვნის დარჯანიას. ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა შეძლო ლომსაძემ.

არასპორტული საქციელისთვის გაფრთხილება მიიღეს ხაშურელმა ზ. მელაძემ და არმიელმა პ. გვასალიამ.

● „დინამო" (სოხუმი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 0:0. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

● „კოლ ეთი" (აბი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 2:0. მსაჯი ა. დურსუნიში (სოხუმი).

ხობელებმა კარგად ითამაშეს და მატჩის ბედი თავიანთ სასარგებლოდ პირველ ტაიმშივე გადაწყვიტეს ჩხარტიშვილისა და ნ. გვასალიას (პენალტი) მიერ გატანილი გოლებით.

● „კახეთი" (თელავი) — „მეშახტე" (ტყიბული) 4:2. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

ტაიმი „კახეთმა" მოიგო ანგარიშით 3:0 (ტიკურიშვილი, ბორჩაშვილი, ჩაველაშვილი). შესვენების მერე ლოლომაძემ გაქვითა ერთი გოლი, რის შემდეგაც ბოჭორიშვილმა ვერ გამოიყენა მასპინძელთა კარში დანიშნული პენალტი. შემდეგ ტიკურიშვილმა მეორეხედ აიძულა ტყიბულელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში და უკვე მაშინ, როცა მატჩის დასასრულს 2 წუთი აკლდა, თელაველთა კარში დანიშნული პენალტი ზუსტად გამოიყენა აუშტროვმა.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 2:2. მსაჯი ე. ჩიფჩიაური (თბილისი).

ლოკომოტიველმა ქანთარიამ ორჯერ დააწინაურა ამ მატჩში თავისი გუნდი, სტუდენტებმა კი ორივეჯერ შეძლეს ანგარიშის გაქვითვა (წიკლაური, გიგოლაშვილი).

მსაჯთან შეკამათებისთვის გაფრთხილებულია ლოკომოტიველი გ. სანაძე.

● „მაღაროელი" (ჭიათურა) — „სულორი" (ვანი) 4:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

მატჩის გმირი, უდავოდ, კაციტაძე იყო, რომელსაც ეკუთვნის „სულორის" კარში გატანილი ოთხივე ბურთი.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია ჭიათურელი თ. ცუცქირიძე.

● „ვარძია" (ასპინძა) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 0:1. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

ორი დებიუტანტის შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. მისი ბედი გადაწყვიტა ოჩამჩირელი ეზუხბაიას მიერ 70-ე წუთზე გატანილმა ბურთმა.

### მეორე ჯგუფი

#### I ზონა

„ალაზანი" (გურჯაანი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 2:2, „ციხკარი" (სიღნაღი) — „განთიადი" (კასპი) 2:1, „მესხეთი" (ახალციხე) — „ყინწვისი" (ქარელი) 3:0, „განახლება" (ადიგენი) — „რუზერთიდი" (გარდაბანი) 3:1, „დურუჯი" (ყვარელი) — „განთიადი" (ბორჯომი) 3:0.

#### II ზონა

„სქური" (წალენჯიხა) — „იმერეთი" (თერჯოლა) 1:1, „სამგურალი" (წყალტუბო) — „გიგანტი" (ლაითური) 1:1, „განთიადი" (აბაშა) — „კოლმეურნე" (გულრიფში) 0:0, ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „კოლმეურნე" (ლანჩხუთი) 3:1, „მზიური" (გალი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 1:1, „კოლმეურნე" (წულუკიძე) — „ჩიხურა" (საჩხერე) 3:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ირანის რეკორდები თბილისის აუზში

თბილისში მეორედ გვესტუმრნენ ირანელი მოცურავეები, ამჯერად — წყალბურთელებთან ერთად. სამწუხაროდ, სტუმრებმა ვერ შეძლეს მოცურავეთა გუნდის მთლიანად დაკომპლექტება და ამიტომ საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის საცურაო აუზში მასპინძლებს უმეტესად შინაურ კომპანიაში უხდებოდათ საქმის გარკვევა.

...სტარტზე არიან 200 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავე ვაჟები. აქ ფავორიტად თბილისელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, დინამოელი ი. ლისეცკი ითვლება. მევრჯერ გვინახავს იგორის სარეკორდო გაცურვები. ჩვეულებრივ, იგი სტარტიდანვე თავბრუდამხვევ ტემპს სთავაზობს მეტოქეებს.

და აი, სასტარტო ნიშანიც გაისმა და რვავე ბილიკიდან წყლის სვეტები აიჭრა ჰაერში. ფავორიტმა ჩვეულებას უღალატა — ცურვა მშვიდად დაიწყო. სხვების ფონზე მისი ცურვა ზლვაზე ნებივრად ბანაობას მოგვაგონებდა. აშკარა იყო, ლისეცკი რეკორდზე არ ფიქრობდა. მით უმეტეს, დილით მან 8 კილომეტრამდე მანძილი დაფარა ცისფერ ბილიკებზე ვარჯიშის დროს. 100 მეტრზე იგორმა 1.01,1 აჩვენა. რეკორდისთვის კი უფრო სწრაფი ტემპით დაწყება იყო საჭირო.

დისტანციის მეორე ნახევარზე მან, თითქოს გამოფხიზლდაო, სიჩქარეს უმატა, თანდათან ჩამოიტოვა მეტოქეები, შემდეგ კარგა მანძილით დაწინაურდა და ფინიშთანაც პირველი მიიჭრა. მალე დიქტორმა გამოაცხადა გამარჯვებულის შედეგი — 2.02,4 — რესპუბლიკის ახალი რეკორდიაო. ეს შედეგი ლისეცკისსავე ძველ რეკორდს, რომელიც 3 წლის წინათ იყო დამყარებული, ხუთი მეათედი წამით სჯობს. ამ წარმატებამ თვითონ იგორიც გააოცა.

რესპუბლიკურ რეკორდზე იერიში მიიტანა განთიადელმა გ. გოდერძიშვილმაც. იგი 100 მეტრზე ბატერფლაით მოცურავე ვაჟებში თავიდანვე დაწინაურდა და ბოლომდე თავდაუზოგავად იბრძოდა მიზნის მისაღწევად. საბოლოოდ მან გაიმეორა ბათუმელი ა. ბუკაშკინის რესპუბლიკური რეკორდი — 1.01,5.

იყოჩაღეს სტუმრებმაც, რომლებმაც ირანის რეკორდები დაამყარეს. ესენი იყვნენ: 100 მეტრზე გულაღმა მოცურავე გოგონა შ. ფირუზაბადიანი — 1.25,3, 100 მეტრზე ბრასის სტილით მოასპარეზე ა. ჰაზრათი — 1.14.0, 4×100 მეტრზე კომბინირებული ესტაფეტის მონაწილე ვაჟთა გუნდი — 4.29,0. ამ სახეობის პირველ ეტაპზე, 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ი. ნასიმმა 1.10,9 აჩვენა, რაც ასევე ირანის რეკორდია.

მიუხედავად სარეკორდო შედეგებისა, სტუმრები ბოლო ადგილებზე დარჩნენ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს მათი საგრძნობი წინსვლა მას შემდეგ, რაც ცისფერ ბილიკებზე პირველად შეხვდნენ ჩვენს მოცურავეებს.

ირანელებმა ვერც წყალბურთელთა შეჯიბრებაში მიაღწიეს გამარჯვებას. ისინი სამი დღის მანძილზე შეხვდნენ თბილისის „დინამოს", საქართველოს ნაკრებს და თბილისის „მურევესტნიკს". ეს შეხვედრები სტუმრებმა წააგეს ასეთი ანგარიშით (შესაბამისად): 3:9, 4:9 და 3:5.

გუშინ ირანელი მოცურავეები და წყალბურთელები ბათუმს გაემგზავრნენ და დღეს იქ გააგრძელებენ სამატჩო შეხვედრებს.

ა. გურასაშვილი.

• • •

სურათებზე: ირანის მოცურავეთა და წყალბურთელთა მწვრთნელი მ. რაშიდფური რჩევას აძლევს წყალბურთელებს; გ. გოდერძიშვილი (მარჯვნივ) ირანელ მოცურავეებთან შ. ფირუზაბადიანთან და მ. ალიაბადისთან ერთად; ი. ლისეცკი და ირანელი გ. მუაზაზი.

ავტორის ფოტოები.



# სარეკორდო ანგარიშით

HELSINKI 5.-20.4.1974

ჰელსინკი, 9 აპრილი. „იაჰალის" სპორტის სასახლის ყინულის სარბიელზე დღეს ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები გაიმართა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და შვეციის ნაკრები გუნდების თამაშის შედეგი ეჭვს არ იწვევდა. ყველა მოელოდა, რომ „გაბრაზებული" შვედები მთელი ძალით შეუტევდნენ ჩემპიონატის დებიუტანტებს და აქედანვე შეეცდებოდნენ მათი ერთ-ერთი წევრის უ. ნილსონის ღალატით გამოწვეული დანაკარგის ანაზღაურებას. ალბათ მიხვდით: საქმე ეხება პოლონელებთან მოგებული მატჩის წაგებად „გადაკეთებას", ვინაიდან ნილსონმა ამ თამაშისთვის დოპინგი მიიღო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შვეციის ნაკრების ხელმძღვანელობა აუღელვებლად შეხვდა შეჯიბრების მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებას, სამართლიანად მიიჩნია იგი და განაცხადა, რომ გუნდი კვლავაც მედლებისთვის იბრძოლებს.

ზემოთქმულის ერთ-ერთი დასტური გახლდათ დღევანდელი მატჩის ანგარიში, რომელიც ჯერჯერობით სარეკორდოა აქ მიმდინარე ჩემპიონატისთვის. 10:1 —ასე გაიმარჯვეს შვედებმა.

უაღრესად საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა პოლონეთისა და ფინეთის ეროვნული გუნდების შეხვედრაში. თამაში ფრედ დამთავრდა — 2:2.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | შ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 3 | 0 | 0 | 19:2 | 6 |
| სსრ კავშირი | 3 | 3 | 0 | 0 | 20:4 | 6 |
| ფინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 10:12 | 3 |
| პოლონეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 10:18 | 3 |
| შვეცია | 3 | 1 | 0 | 2 | 12:9 | 2 |
| გდრ | 4 | 0 | 0 | 4 | 4:30 | 0 |

# კიდევ ერთი „ცირკი"?

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო. სპორტულ ბიზნესშიც ასე ხდება. სულ ახლახან მოვიდა ცნობა, რომ არის ცდები ევროპის კალათბურთელთა პროფესიული ლიგის ჩამოყალიბებისა. ამასთან, არც მალავენ, რომ ეს იდეა ოკეანის გაღმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიბადა. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი პირდაპირ წერს, რომ ლიგის შექმნა ნავარაუდევია ამერიკის პროფესიული კალათბურთის ასოციაციისა და მისი პრეზიდენტის მაიკ სტორენის ეგიდის ქვეშ. სტორენი ამ საქმის თაოსნებს „ორგანიზაციულ დახმარებას უწევს და აუცილებელ ინფორმაციას აწვდის".

ახალი წამოწყების რეკლამაში ჩაება ბელგიელი გი ვან დენ ბრუკიც, რომელიც თავის დროზე ქვეყნის ოლიმპიურ გუნდს წვრთნიდა. იგი ყოველნაირად ცდილობს „გააკეთილშობილოს" სიხარბე და გაუმაძღრობა, რაც ლიგის დამაარსებელთა გეგმებს უდევს საფუძვლად. მან განაცხადა, რომ კალათბურთი სპორტის ძალიან პოპულარული სახეობაა ევროპაში და შეიძლება ისევე ფართოდ გავრცელდეს, როგორც ფეხბურთი და ველოსპორტი. დიახ, ასეთი განცხადების წინააღმდეგ ძნელია რაიმე ითქვას.

საქმე ისაა, რომ ბელგიელი ამ გარემოებიდან ყოვლად მოულოდნელ დასკვნებს აკეთებს. თურმე, მისი აზრით, საჭიროა რაღაც „მატონიზებელი საშუალება", თორემ ამ სახეობისადმი ინტერესი თანდათან ჩაკვდება. ჰოდა, „წამალიც" მზადაა: პროფესიული კლუბების ლიგა.

მაგრამ ევროპის კალათბურთს, რომელიც წლიდან წლამდე წინ მიდის, ასეთი თვითმარქვიების წამლები არაფერში სჭირდება. საქმე მარტო ის როდია, რომ კალათბურთელთა შეხვედრებს, ვთქვათ, ევროპის თასების გათამაშებისა და სხვა ტურნირების მატჩებს დღესაც უამრავი მაყურებელი ესწრება. რაც მთავარია, ძველი სამყაროს კალათბურთელებმა ყველას დაუმტკიცეს თავიანთი ნამდვილი ძალა, როცა მსოფლიო კალათბურთის ორი მთავარი ტიტული მოიპოვეს: სსრ კავშირის ნაკრები ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა, იუგოსლავიის გუნდი — მსოფლიოსი.

სწორედ ევროპული კალათბურთის ასეთმა წარმატებებმა და პოპულარობამ გაუღვიძა მადა საქმოსნებს, როცა პროფესიული ლიგის შექმნა გადაწყვიტეს. შემთხვევითი როდია, რომ ყველა მათს ინტერვიუში სიტყვები „რენტაბელობა" და „კონტრაქტი" ბევრად უფრო ხშირადაა ნახმარი, ვიდრე, ვთქვათ, „კალათბურთი"...

ევროპის ზოგიერთმა ეროვნულმა ფედერაციამ უკვე მიმართა თავდაცვის ზომებს. მაგალითად, საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ყველა მოთამაშე, რომელიც პროფესიონალებში გადავა, სამუდამო დისკვალიფიკაციას მიიღებს. ფედერაციამ კატეგორიულად განაცხადა ისიც, რომ პროფესიონალებს შეხვედრებისთვის მუნიციპალურ სპორტულ დარბაზებს არ დაუთმობს...

გავიხსენოთ, მოციგურავეთა „ცირკი", რომელიც ახლა გაკოტრების ზღვარზე დგას. საქმოსანთა ახალ წამოწყებასაც მისი ბედი ხომ არ ელის? ამ ლიგას ხომ, ისევე როგორც მოციგურავეთა „ცირკს", სპორტთან საერთო არაფერი ექნება.

ი. ხრომოვი.
(საკდესის კორ.).

# დ. ს. მასხულია

ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი დუდე სოლომონის ძე მასხულია.

დ. მასხულია დაიბადა 1924 წელს მახარაძეში. აქ სწავლობდა საშუალო სკოლაში. შემდეგ დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მშობლიურ ქალაქში მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, ბოლო წლებში იყო „საქმთავარგაზის" მახარაძის № 7 ტრესტის მმართველი. იგი სკკპ რიგებში შევიდა 1964 წელს, იყო საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის წევრობის კანდიდატი და საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

ფეხბურთის მოყვარულებს ემახსოვრებათ დ. მასხულიას თამაში თბილისის ოფიცერთა სახლის ოსტატთა გუნდში, შემდეგ, 1959-64 წლებში იგი იყო მახარაძის „მერცხლის" ფეხბურთელთა კოლექტივის უფროსი მწვრთნელი. ამ პერიოდში გუნდმა მოიპოვა წარმატებები — ორჯერ დაისაკუთრა საქართველოს თასი, იყო „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი.

ამხანაგების ჯგუფი.

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

# მხოლოდ 10 ათასი მაყურებელი

აპრილის დამდეგს ლისაბონში ერთმანეთს შეხვდნენ პორტუგალიისა და ინგლისის ნაკრები გუნდები. შეხვედრას დიდი ინტერესი არ გამოუწვევია, ვინაიდან მასპინძელთა კოლექტივში არ თამაშობდა ეუსებიო, ინგლისელთა გუნდში კი მხოლოდ სამი ფეხბურთელი იყო ძველი შემადგენლობიდან, უმთავრესად ახალგაზრდები თამაშობდნენ.

მატჩს მხოლოდ 10 ათასი მაყურებელი დაესწრო. მიუხედავად ორივე გუნდის დიდი მონდომებისა, 90 წუთის განმავლობაში ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

ინგლისელთა კაპიტანი პიტერსი უკმაყოფილო იყო მატჩის შედეგით. დიდი კმაყოფილება არც სტუმართა ნაკრების მწვრთნელს რამსეის ეტყობოდა, მაგრამ კორესპონდენტებს მან განუცხადა, რომ „შედეგს არა უშავს, ჩვენი მიზანი ახალგაზრდობის გასინჯვა იყო".

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

18 აპრილს

ჭადრაკის სასახლეში (ლენინის ქ. № 37) გაიმართება საქართველოს კალათბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო პლენუმი.

დასაწყისი 17 ს.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მასწავლებლ და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04550